

1. პროგრამის დასახელება – მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა

2. პროგრამის მოცულობა - 60 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - 5 (IV – VIII) სემესტრი, სემესტრში - 12 კრედიტი

3. სწავლების ენა - ქართული

4. პროგრამის ხელმძღვანელები

- ლია ახალაძე - ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- რუსუდან ფიფია - ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- პროგრამაზე დაიშვება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, რომლის სტრუქტურაც ითვალისწინებს დამატებით (Minor) პროგრამას;
- პროგრამაზე დაიშვება ნებისმიერი მსურველი ვისაც აქვს მათემატიკის, ინფორმატიკის, ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ისტორიის, ფილოლოგიის (ქართული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, აფხაზური) ბაკალავრის ხარისხი.
- პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი და სწავლის შედეგები აისახება დიპლომის დანართში.

6. სფეროს აღწერა და პროგრამის მიზანი

- **სფეროს აღწერა** - მასწავლებლის პროფესია სახელმწიფოს მიერ რეგულირებად პროფესიათა რიცხვს განეკუთვნება. კვალიფიცირებული მასწავლებლის მომზადება სახელმწიფოს და განათლების სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, ამიტომ სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მასწავლებლის მომზადების პროგრამას. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტისა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმემკვიდრე ტრადიციულად იყო და არის მასწავლებელთა კადრების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. შესაბამისად, ჩვენი უნივერსიტეტის მისიაა გააგრძელოს 80 წლიანი ტრადიცია პედაგოგიური კადრების მომზადებისა და ხელი შეუწყოს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რომელიც საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისი იქნება.
- **პროგრამის მიზანი** - მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მასწავლებლის განათლების პროგრამების მოქნილობა და შესაბამისობა დანარჩენ საგანმანათლებლო პროგრამებთან. უზრუნველყოს სტუდენტზე ორიენტირებული პროგრამის განხორციელება, რათა ძირითადი, დარგობრივი საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებმა შეძლონ მასწავლებლის კვალიფიკაციის მიღება. წინამდებარე პროგრამის ძირითადი მიზანია მომზადდეს მაღალკვალიფიცირებული საბაზო და საშუალო კლასების მასწავლებლები, რომლებიც მოცემული პროგრამის საფუძველზე შეიძენენ მთელ რიგ კომპეტენციებს: ცოდნას, ფასეულობებსა და უნარებს, რაც აუცილებელია მასწავლებლის მაღალი აკადემიური სტანდარტების მისაღწევად. პროგრამა ორიენტირებულია განათლების ეროვნულ პრიორიტეტებზე, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროგრამის დასრულების შემდეგ მომზადდება კრიტიკული აზროვნების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხური მასწავლებლები, რომლებსაც საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები ექნებათ მასწავლებლის სასერტიფიკაციო მოთხოვნების დასაძლევად.

7. სწავლის შედეგები და კომპეტენციები

- **ცოდნა გაცნობიერება** - აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის /საგნობრივი ჯგუფის ცოდნა; იცის საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები. აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკული გაცნობიერება; იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები; იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი; იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურას; გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; იცის როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემო.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება მოსწავლეთა მიღწევების ამაღლების მიზნით; შეუძლია სპეციალურ მასწავლებლეთა თანამშრომლობით განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა. შეუძლია სწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის; შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა; აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი; აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი.
- **დასკვნის უნარი** - შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევის შედეგების ანალიზი; შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება.
- **კომუნიკაციის უნარი** - შეუძლია პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან. მოსწავლეებსა და მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან. აქვს ქართულ და უცხოურ ენაზე პროფესიული ლიტერატურის გაცნობისა და კოლეგებთან პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაციის უნარი; შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია; აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.
- **სწავლის უნარი** - აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერების და დამოუკიდებლად სწავლის უნარი; შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- **ღირებულებები** - იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს მის შესაბამისად; ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას. აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი.

8. პროფესიული სტატუსი და დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებული მიღებული უნარებისა და კომპეტენციების საფუძველზე შეიძლება დასაქმდეს:

- **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო კლასების მასწავლებლად** (major) პროგრამის გათვალისწინებით;
- მასწავლებლად ლიცეუმებში, გიმნაზიებსა და კერძო სკოლებში;
- პედაგოგიური ციკლის დისციპლინების მასწავლებლად საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;
- სკოლის დირექტორად, დირექტორის მოადგილედ სასწავლო და აღმზრდელობით დარგში;
- განათლების დარგის სოციალურ მუშაკად;
- საგანმანათლებლო სფეროში: მეთოდისტად, აღმზრდელად, სოციალურ მუშაკად;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

9. მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისათვის, რომლის სტრუქტურა ითვალისწინებს დამატებით (Minor) პროგრამას

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
I მოდული - სასწავლო პროცესის დაგეგმვა														
1.	პედაგოგიკის საფუძვლები	EDUC B107	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
2.	განათლების ისტორია	EDUC B108	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
3.	ინკლუზიური განათლება	EDUC B109	6	65	85					6				EDUC B107 EDUC B108
4.	საგნის (მათემატიკის, ინფორმატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ისტორიის, ქართულის , ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის, რუსულის) სწავლების მეთოდები	EDUC B180 EDUC B181 EDUC B182 EDUC B183 EDUC B184 EDUC B185 EDUC B186 EDUC B187 EDUC B188 EDUC B189 EDUC B190 EDUC B191	6	65	85					6				EDUC B107 EDUC B108 სტუდენტს არჩეული უნდა ჰქონდეს შესაბამისი დარგის საბაკალავრო პროგრამა
5.	პედაგოგიური პრაქტიკა	EDUC B195	6	105	45								6	EDUC B107 EDUC B108 EDUC B109 EDUC B116 EDUC B117 საგნის სწავლების მეთოდები
6.	ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზი (პრიორიტეტული, გამჭოლი კომპეტენციების განვითარება)	EDUC B112	3	35	40							3		EDUC B107 EDUC B108 EDUC B109 EDUC B116 საგნის სწავლების

														მეთოდები
7.	განვითარებისა და სწავლების თეორიები	EDUC B113	6	65	85							6		EDUC B107 EDUC B108 EDUC B109 EDUC B116 EDUC B115 EDUC B117 საგნის სწავლების მეთოდები
8.	კვლევის მეთოდები განათლებაში	EDUC B114	3	35	40							3		EDUC B107 EDUC B108 EDUC B109 EDUC B116 EDUC B115 EDUC B117 საგნის სწავლების მეთოდები
II მოდული - სასწავლო პროცესის წარმართვა და შეფასება														
1.	განათლების სამართლებრივი აქტები	EDUC B115	3	35	40							3		EDUC B107 EDUC B108 EDUC B109 საგნის სწავლების მეთოდები
2.	მასწავლებლის პროფესიული ეთიკა	EDUC B116	3	35	40							3		EDUC B107 EDUC B108 EDUC B109 საგნის სწავლების მეთოდები
3.	სასკოლო პედაგოგიკა და კლასის მართვა	EDUC B117	6	65	85							6		EDUC B107 EDUC B108 EDUC B109 საგნის სწავლების მეთოდები
4.	ეფექტურად სწავლების მეთოდები და სტრატეგიები (მოტივაცია და კომუნიკაცია; ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნა; სასწავლო პროცესის, მოსწავლეთა შეფასების მეთოდები და მათი ანალიზი)	EDUC B118	6	65	85								6	EDUC B107 EDUC B108 EDUC B109 EDUC B116 EDUC B117 საგნის სწავლების მეთოდები
სულ - 60 კრედიტი									12	12	12	12	12	

- მასწავლებლობის მაძიებელი ნებისმიერი მსურველისათვის, რომელსაც აქვს მათემატიკის, ინფორმატიკის, ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ისტორიის, ფილოლოგიის (ქართული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, აზერბაიჯანული) ბაკალავრის ხარისხი.

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		სწავლების I სემესტრი	სწავლების II სემესტრი	წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი			
I მოდული - სასწავლო პროცესის დაგეგმვა								
1	პედაგოგიკის საფუძვლები	EDUC B107	6	65	85	6		წინაპირობის გარეშე
2	განათლების ისტორია	EDUC B108	6	65	85	6		წინაპირობის გარეშე
3	ინკლუზიური განათლება	EDUC B109	6	65	85	6		წინაპირობის გარეშე
4	საგნის (მათემატიკის, ინფორმატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ისტორიის, ქართულის , ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის, რუსულის) სწავლების მეთოდები	EDUC B 180 EDUC B 181 EDUC B 182 EDUC B 183 EDUC B 184 EDUC B 185 EDUC B 186 EDUC B 187 EDUC B 188 EDUC B 189 EDUC B 190 EDUC B 191	6	65	85	6		წინაპირობის გარეშე
5	პედაგოგიური პრაქტიკა	EDUC B190	6	105	45		6	EDUC B107 EDUC B107 EDUC B107 საგნის სწავლების მეთოდები
6	ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზი (პრიორიტეტული, გამჭოლი კომპეტენციების განვითარება)	EDUC B112	3	35	40		3	EDUC B107 EDUC B107 EDUC B107 საგნის სწავლების მეთოდები
7	განვითარებისა და სწავლების თეორიები	EDUC B113	6	65	85		6	EDUC B107 EDUC B107 EDUC B107 საგნის სწავლების

								მეთოდები
8	კვლევის მეთოდები განათლებაში	EDUC B114	3	35	40		3	EDUC B107 EDUC B107 EDUC B107 საგნის სწავლების მეთოდები
II მოდული - სასწავლო პროცესის წარმართვა და შეფასება								
1	განათლების სამართლებრივი აქტები	EDUC B115	3	35	40		3	EDUC B107 EDUC B107 EDUC B107 საგნის სწავლების მეთოდები
2	მასწავლებლის პროფესიული ეთიკა	EDUC B116	3	35	40		3	EDUC B107 EDUC B107 EDUC B107 საგნის სწავლების მეთოდები
3	სასკოლო პედაგოგიკა და კლასის მართვა	EDUC B117	6	65	85		6	EDUC B107 EDUC B107 EDUC B107 საგნის სწავლების მეთოდები
4	ეფექტურად სწავლების მეთოდები და სტრატეგიები (მოტივაცია და კომუნიკაცია; ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნა; სასწავლო პროცესის, მოსწავლეთა შეფასების მეთოდები და მათი ანალიზი)	EDUC B118	6	65	85	6		წინაპირობის გარეშე
სულ - 60 კრედიტი						30	30	